



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011398442118014
ქ.თბილისი

02 / ოქტომბერი / 2014 წ.

ბრძანება № 148-მ

საქართველოს პროკურატურაში ინფორმაციის გაცემის თაობაზე

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაუშვებელია საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა, გარდა კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას, საქართველოს მთავარი პროკურორის (ან მის მიერ უფლებამოსილი პირის) თანხმობით, რაც შედის მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, დასაშვებია ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელზეც ვრცელდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა, ასევე სხვა ინფორმაციის, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის გასაიდუმლოების პრინციპს.
3. დაუშვებელია საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ინფორმაციის გაცემა.
4. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, დაცული საქართველოს პროკურატურაში, დაკავშირებული მისი კანონით დადგენილი სხვა უფლებამოსილებების, მათ შორის ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან, ან ამ საქმიანობის შედეგად მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია ღიაა და ექვემდებარება გაცემას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს გიორგი გოგაძეს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.